ოქმი:**ო63. 6324173001**
თარიღი:**21/06/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე

სხდომის

ო ქ მ ი N 22

ქ. სამტრედია. 18 ივნისი, 2024 წელი.

2024 წლის 18 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, უმრავლესობის ლიდერი, გოჩა არველაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N8-63.63213377 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მ.სირბილაძე./

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

3.,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 8 ნოემბრის №-63. 63223126 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

5. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №-63.63213377 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის, ილია მჟავიას გარდაცვალების გამო, კანონის შესაბამისად, საჭიროა მოწესრიგდეს და განხორციელდეს ცვლილება საკრებულოს განკარგულებებსა და ბიუროს გადაწყვეტილებებში. კერძოდ, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნება, საკრებულოს განკარგულებით ცნობად იქნა მიღებული 2021 წლის 3 დეკემბრის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე. შემდგომში, ,,ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი''-ს 27-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციის შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება, ბიუროს გადაწყვეტილებით. აქედან გამომდინარე, საკრებულოს განკარგულებაში ცვლილებას ვერ განხორციელდება ბიუროს გადაწყვეტილებით. საჭიროა, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №-63.63213377 და ბიუროს გადაწყვეილებით უნდა დამტკიცდეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს შემადგენლობა და ამის შემდეგ, ბიუროს გადაწყვეტილებით დამტკიცდეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს

შემადგენლობა.

საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს, **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №-63.63213377 განკარგულება .**

პროექტის ირგვლივ შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.**

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად, დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება''-ს შემადგენლობა.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება''-ს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. **ტარიელ დვალიშვილი - ფრაქციის თავმჯდომარე**

2. **ნუგზარ ჯამბურია -**
3. **მანანა სირბილაძე -**
4. **ვალერიანე ფოცხვერია -**
5. **ბექა თევზაძე - მოადგილე**
6. **ლიზა კრავეიშვილი - მოადგილე**
7. **ირაკლი მელაშვილი -**
8. **ჯონი ახობაძე -**
9. **მაია ტალაბაძე - მოადგილე**
10. **ტარიელ ცომაია -**
11. **ბადრი შენგელია -**
12. **ლელა ჩორგოლაშვილი -**
13. **გრიგოლ ჩიგოგიძე -**
14. **დავით ჯანელიძე -**
15. **ზაზა ადეიშვილი -**
16. **ნათია პაპავა -**
17. **გოჩა არველაძე - მოადგილე**
18. **ვაჟა სტურუა -**
19. **ჯონი თევზაძე - მოადგილე**
20. **გიორგი გაგუა - მოადგილე**
21. **გიორგი ლეჟავა**

პროექტის ირგვლივ შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), დამტკიცდა, ბიუროს გადაწყვეტილება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია**

,,ქართული ოცნება''-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 8 ნოემბრის N გ63. 63223126 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, ცვლილება უნდა განხორციელდეს საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში და კომისიის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1.1 გიორგი ლეჟავა - თავმჯდომარე.
1.2 ტარიელ დვალიშვილი.
1.3 ლელა ჩორგოლაშვილი.
1.4 კობა ძიძიგური.
1.5 ლაშა გრიგოლია.
1.6 ლიზა კრავეიშვილი.
1.7 ნათია პაპავა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), დამტკიცდა ბიუროს გადაწყვეტილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 8 ნოემბრის N გ63. 63223126 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დანართი N1 ნაცვლად საკრებულოს 33 წევრისა განისაზღვრა 32 წევრით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №-63.63213377 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

3. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება, 2024 წლის 1 ივლისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი